ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1831099

ნომერი: AR1293094

თარიღი : 13.03.2015

გაცემის თარიღი : 08.04.2015

გაცნობის თარიღი : 08.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29-31-33 , (ნაკვეთი 04/023) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიისსსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურისსამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებაში ტექნიკურიშეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 13 მარტს #AR1293094 განცხადებით მომართა შპს „მოყვასი -2012“–ის წარმომადგენელმაგიორგი ხმალაძემ და

მოითხოვა ამავესამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96–ე მუხლისთანახმად, სამსახურმაშეისწავლა საქმისათვისარსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებებიდა დაადგინა, რომ ქალაქთბილისის მერიისსსიპ – ქალაქთბილისის არქიტექტურისსამსახურის 2014 წლის 4 მარტის№1148239 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორივაკე, ილიაჭავჭავაძის გამზირი#29–31–33–ში (ნაკვ#04/023), შ.პ.ს. ,,მოყვასი–2012"–ის კუთვნილ მიწისნაკვეთზე (ს/კ: 01.14.14.004.023) მრავალბინიანი საცხოვრებელისახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლისგანმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა საცხოვრებელი, კომერციული, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე, ავტოსადგომისა და საერთო ფართობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 59–ე მუხლის პირველინაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად განმცხადებლისმოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით არის საფუძვლიანი დაიგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდესშპს „მოყვასი -2012“–ის წარმომადგენლის გიორგიხმალაძის 2015 წლის 13 მარტის #AR1293094 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიისსსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურისსამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებაში, კერძოდ საერთო ფართობად დაფიქსირდეს – 8085.8 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 4194.6 კვ.მ, კომერციულ ფართობად – 691.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 614.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 547.1 კვ.მ, დამხმარე ფართობად – 41.8 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 1996.6 კვ.მ;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურისსამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარებრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიისსსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურისსამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისიოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.